CHALLENGES OF THE INVESTMENT ENVIRONMENT IN GEORGIA UNDER THE COVID-19 PANDEMIC

საინვესტიციო გარემოს გამოწვევები საქართველოში Covid-19 პანდემიის პირობებში

Natia Zhozhuashvili

Doctor of Economy, Associate Professor of Gori State Teaching University,

Gori, Chavchavadze st., №53, 1400, Georgia,

+995551118890, natia7413@gmail.com

https://orcid.org/0000-0002-3831-6479

Abstract. The investment environment is an essential part of a strategy focused on stimulating economic growth and development for each country. It provides investment, which is especially important for small and low-income economically developing countries. In the last decade, developing countries have made investment regimes as liberal as possible in order to attract foreign investment, create a favorable investment environment, and create an investment climate, as it is seen as a contributing factor to modernization, economic development, income growth, and employment.

Creating a healthy investment climate and encouraging investment has become a priority for the government of both Georgia and any country under the Covid-19 pandemic. It was also quite difficult to make accurate predictions about the economic impact that the global pandemic process and the epidemic picture in the country will eventually have on the economies of countries, including Georgia. The most important part of foreign direct investment in Georgia comes from the USA and European Union. The trend of declining investment has been a significant threat to the Georgian economy in recent years. Today, these risks are even more urgent. Closing borders and halting economic activity by countries is slowing down economic growth.

The Georgian government should be able to attract foreign investment resources to the country, creating a favorable environment for this. The existence of conflict regions has a more negative impact on Georgia's investment climate. For every investor, the prerequisite for investing in a country is protection of property rights, stable political situation, favorable tax regulations, cheap and qualified labor force, stable macroeconomic environment, economic openness of the country, free trade agreements, low level of corruption. The timing of the crisis is unclear at the moment, as well as how the world will be able to deal with it. Georgia-type countries will be significantly dependent on the scale of international assistance they will be able to mobilize in various directions, for which it is vital to define national investment policy and improve the investment environment in the country.

Key words: Investment Environment, Foreign Direct Investment, National Investment Policy, Pandemic Covid-19**.**

ნათია ჟოჟუაშვილი

ეკონომიკის დოქტორი,

გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,

ქ.გორი, ჭავჭავაძის ქ., №53, 1400, საქართველო,

+995 551118890, natia7413@gmail.com

https://orcid.org/0000-0002-3831-6479

აბსტრაქტი. საინვესტიციო გარემო ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სტიმულირებაზე ორიენტირებული სტრატეგიის არსებითი შემადგენელი ნაწილია თითოეული ქვეყნისთვის. იგი უზრუნველყოფს ინვესტიციების მოზიდვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და დაბალშემოსავლიანი ეკონომიკურად განვითარებადი ქვეყნებისთვის. ბოლო ათწლეულში განვითარებადმა ქვეყნებმა საინვესტიციო რეჟიმებს მაქსიმალურად ლიბერალური სახე მისცეს, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს, საინვესტიციო კლიმატის შექმნის მიზნით, რადგან ის განიხილება, როგორც მოდერნიზაციის, ეკონომიკური განვითარების, შემოსავლების ზრდის და დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორი.

ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნა და ინვესტიციების წახალისება, როგორც საქართველოს, ისე ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისთვის პრიორიტეტულ ამოცანად იქცა Covid -19 პანდემიის პირობებში. აგრეთვე საკმაოდ რთული აღმოჩნდა ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მოახდენს საბოლოოდ ქვეყნების , მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზე. საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ევროკავშირზე და ამერიკაზე მოდის. ინვესტიციების შემცირების ტენდენცია უკანასკნელი წლების მანძილზე ისედაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისთვის. დღეისათვის ეს რისკები კიდევ უფრო აქტუალურია. ქვეყნების მიერ საზღვრების ჩაკეტვა და ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება ამცირებს ეკონომიკის ზრდის ტემპს.

საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეძლოს და უცხოური საინვესტიციო რესურსები მოიზიდოს და ამისათვის ხელსაყრელი გარემო შექმნას. საქართველოს საინვესტიციო კლიმატზე მეტად ნეგატიურად აისახება კონფლიქტური რეგიონების არსებობა. ყოველი ინვესტორისთვის, ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების წინაპირობა მისი საკუთრების უფლების დაცვა, სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, ხელსაყრელი საგადასახადო რეგულაციები, იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, კორუფციის დაბალი დონეა. დღეისათვის განუსაზღვრელია კრიზისის ვადები და ასევე ის, თუ როგორ შეძლებს მსოფლიო მასთან გამკლავებას. საქართველოს ტიპის ქვეყნები მნიშვნელოვნად იქნებიან დამოკიდებული იმ საერთაშორისო დახმარების მასშტაბზე, რომლის მობილიზებასაც ისინი შეძლებენ სხვადასხვა მიმართულებით, რისთვისაც

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეროვნული საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა და საინვესტიციო გარემოს სრულყოფა ქვეყანაში.

საძიებო სიტყვები: საინვესტიციო გარემო, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, ეროვნული საინვესტიციო პოლიტიკა, პანდემია Covid-19.

შესავალი. საინვესტიციო გარემო ეკონომიკური ზრდისა და განვითარების სტიმულირებაზე ორიენტირებული სტრატეგიის არსებითი შემადგენელი ნაწილია თითოეული ქვეყნისთვის. იგი უზრუნველყოფს ინვესტიციების მოზიდვას, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და დაბალშემოსავლიანი ეკოენომიკურად განვითარებადი ქვეყნებისთვის. ბოლო ათწლეულში განვითარებადმა ქვეყნებმა საინვესტიციო რეჟიმებს მაქსიმალურად ლიბერალური სახე მისცეს, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის, ხელსაყრელი საინვესტიციო გარემოს, საინვესტიციო კლიმატის შექმნის მიზნით, რადგან იგი განიხილება, როგორც მოდერნიზაციის, ეკონომიკური განვითარების, შემოსავლების ზრდის და დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორი.

ინვესტიციების მოზიდვით დაინტერესებული ნებისმიერი ქვეყანა, მათ შორის საქართველოც, უნდა სთავაზობდეს პოტენციურ ინვესტორს სხვა ქვეყნებზე მეტად მიმზიდველ სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს, სახელმწიფო ჩართული უნდა იყოს მაქსიმალურად გახსნილი და ლიბერალური ეკონომიკური გარემოს შექმნაში. ძირითადად განიხილება შემდეგი ფაქტორები, რომლებიც ქმნიან ხელსაყრელ გარემოს ინვესტიციებისთვის: პირველ რიგში სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, კერძო საკუთრების დაცულობა, სამართლიანი სასამართლო, ხელსაყრელი საგადასახადო რეგულაციები, იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, კორუფციის დაბალი დონე და უნიკალურობა, რომელიც კონკრეტულად ქვეყანას შეუძლია შესთავაზოს ინვესტორს.

მეთოდი. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატია ეფუძნება კვლევის შემდეგ მეთოდებს: ემპირიული ანალიზი, შედარებით-ისტორიული მეთოდი, მიზეზობრივ-შედარებითი ანალიზი, სინთეზი, აბსტრაქცია, კონტენტ-ანალიზი, სისტემური ანალიზი.

შედეგები. COVID-19-ის პანდემიის ნეგატიური შედეგების შემსუბუქებისა და ეკონომიკის პოსტპანდემიური სწრაფი აღდგენის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერას, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე უცხოური ინვესტიციების საშუალებით. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეძლოს უცხოური საინვესტიციო რესურსების ქვეყანაში მოზიდვა და ამისათვის უპირველესად ხელსაყრელი გარემო შექმნას. ვფიქრობ საქართველოს საინვესტიციო კლიმატზე მეტად ნეგატიურად აისახება კონფლიქტური რეგიონების არსებობა. ყოველი ინვესტორისთვის, ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების წინაპირობა მისი საკუთრების უფლების დაცვა, სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, ხელსაყრელი საგადასახადო რეგულაციები, იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, კორუფციის დაბალი დონე, როგორც უცხოელი , ასევე ადგილობრივი ინვესტორისთვის. სამთავრობო პროგრამაში 2021-2024 წლებისთვის საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილი და გათვალისწინებულია ისეთი საკითხები, როგორიცაა ქვეყანაში გაძლიერდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობის პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც

დამტკიცდა საინვესტიციო გრანტების სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების შემდეგ ინვესტორი კომპანიებისთვის კვალიფიციური ხარჯების ანაზღაურებას. მექანიზმი მაღალტექნოლოგიურ წარმოებას, სერვისების ექსპორტს, ლოგისტიკისა და თვითმფრინავების მომსახურების სფეროებს დაფარავს. გარდა ამისა, შეიცვალა და ახლებურად გაგრძელდება ინვესტორებთან მუშაობისა და კომუნიკაციის პროცესი. სააგენტომ დაიწყო მუშაობა ე. წ. ლოკაციების სკაუტებთან. განხორციელდა წამყვანი ლოკაციის კონსულტანტების იდენტიფიცირება და, პანდემიის მიუხედავად, უკვე დაწყებულია მათი საქართველოში ჩამოყვანა. განხორციელდა და მომავალშიც გაგრძელდება პოტენციური ინვესტორების პროფილირება, რომლებთანაც მიმდინარეობს პირდაპირი კომუნიკაცია მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობით. ამ პროგრამის შესრულება, რეალურად შეუწყობს ხელს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას საქართველოში.

დისკუსია. ჯანსაღი საინვესტიციო კლიმატის შექმნა და ინვესტიციების წახალისება, როგორც საქართველოს, ისე ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლებისთვის მეტად პრიორიტეტულ ამოცანად იქცა Covid -19 პანდემიის პირობებში. ინფექციის სწრაფი გავრცელების გამო ქვეყნების მიერ საზღვრების ჩაკეტვა, ეკონომიკური საქმიანობის შეჩერება და მნიშვნელოვანი საერთაშორისო თუ ადგილობრივი ღონისძიებების ჩაშლა ან გადადებამ გარკვეულწილად შეამცირა ეკონომიკის ზრდის ტემპი. ეს ყველაფერი განსაკუთრებით საშიში გახდა ეკონომიკურად განვითარებად და ნაკლებად განვითარებული ქვეყნებისთვის. საკმაოდ რთულია ზუსტი პროგნოზების გაკეთება იმ ეკონომიკური გავლენის შესახებ, რომელსაც საბოლოოდ მოახდენს მსოფლიოში პანდემიური პროცესი და ქვეყანაში არსებული ეპიდემიური სურათი მსოფლიო ეკონომიკაზე. ეს მნიშვნელოვნად დამოკიდებულია ქვეყნების მთავრობების მიერ არსებული ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრებასა და პრობლემების გადაჭრისთვის ეფექტური პაკეტების შექმნაზე.

პანდემიის დაწყებამდე საქართველოში მნიშვნელოვნად შედეგიანი ადგილობრივი, თუ უცხოური საინვესტიციო პოლიტიკა ხორციელდებოდა. აქედან გამომდინარე ეკონომიკური თავისუფლების თვალსაზრისით, Heritage Foundation-ის მონაცემებით 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით 180 ქვეყნიდან საქართველო მე-12 ადგილზე იყო, ხოლო ევროპის მასშტაბით მე-9 ადგილს იკავებდა. ამასთანავე, დღეისათვის, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, საქართველოს ბიზნესის კეთების სიმარტივის ინდექსი არის 82.04, ანუ მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის იგი მე-7 პოზიციაზეა, მაგრამ ჟურნალ The Economist-ის დემოკრატიის ინდექსის 2020 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველო მსოფლიოს 178 ქვეყანას შორის 89-ე ადგილს იკავებს. ინდექსის შეფასების კრიტერიუმებიდან საქართველოს ყველაზე დაბალი ქულა მთავრობის ფუნქციონირებასა და პოლიტიკურ კულტურაში აქვს, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს ქვეყანაში ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით.[1]

Covid-19 პანდემიამ მთლიანად შეცვალა მსოფლიო ეკონომიკური პროცესები, როგორც საზღვარგარეთის ქვეყნებში, ასევე საქართველოში. ეს ვითარება მსოფლიო საინვესტიციო კლიმატზეც აისახა. UNCTAD-ის საპროგნოზო მონაცემები ასეთია: 2021 წლისთვის მსოფლიო ეკონომიკა 1.5-3%-ით შემცირდება და დაახლოებით 6.3 ტრლნ აშშ დოლარით ნაკლები იქნება წინა წელთან შედარებით. გაეროს ბოლოდროინდელი მონაცემებით, პანდემია

[1] Covid-19 -ის ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები- კონრად ადენაუერის ფონდი -KAS და EPRC ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი -2021წ.

გამოიწვევს პუი-ს შემცირებას მსოფლიოში 30-40%-ით, მაშინ როცა წინა პროგნოზებით ეს მაჩვენებელი 5-15%-ს არ აღემატებოდა.

ამ მხრივ საქართველოც არ არის გამონაკლისი. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის[2] 2020 წლის პირველი კვარტლის მონაცემებით, სახეზეა საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის მკვეთრი ვარდნა. კონკრეტულად, 2020 წლის I კვარტალში ინვესტიციებმა 175.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის I კვარტლის მონაცემებზე 41.7%-ით ნაკლებია, ხოლო 2021 წლის პირველ კვარტალში ინვესტიციებმა 125.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც 2019 წლის მონაცემებზე 60.0 % -ით ნაკლებია, როგორც ვხედავთ მდგომარეობა რთულია.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები საქართველოში

(მლნ აშშ დოლარი)

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020*	2021*
სულ	1 039.2	1 837.0	1 728.8	1 652.6	1 978.3	1 306.3	1 310.8	616.9	125.4
I კვ	291.8	331.9	343.4	392.6	413.2	328.6	313.7	175.0	125.4
II კვ	224.1	217.6	493.2	452.4	395.7	406.1	236.6	241.3	
III კვ	271.6	749.5	531.1	507.4	634.8	365.4	396.0	303.3	
IV კვ	251.6	538.0	361.0	300.2	534.6	203.5	364.5	-102.8	

* წინასწარი მონაცემები

საქართველოში შემოსული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ევროკავშირზე მოდის. ამერიკიდან შემოსული ინვესტიციები სრული ინვესტიციების 7.8%-ია, ხოლო ჩინეთიდან შემოსული ინვესტიციები - 3.2%. 2019 წლის მონაცემებით 15 ყველაზე მნიშვნელოვან ინვესტორებს შორის იყვნენ აშშ, ჩინეთი და იაპონია. 2020 წლის მონაცემებით ლიდერობდნენ გაერთიანებული სამეფო, თურქეთი , ნიდერლანდი, აშშ, თუმცა არსებულ ქვეყნებში ვირუსული აფეთქების ეკონომიკური ეფექტი პირდაპირ გავრცელდა საქართველოზეც. ინვესტიციების შემცირების ტენდენცია უკანასკნელი წლების მანძილზე ისედაც მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენდა საქართველოს ეკონომიკისათვის. დღეისათვის ეს რისკები კიდევ უფრო აქტუალურია.

ინვესტიციების შემცირება განსაკუთრებით შეინიშნება ტრანსპორტისა და ტურიზმის სექტორში, სადაც 2020 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, ტურიზმის სფეროში დღეისათვის ინვესტიციების კლება 76%-ს შეადგენს, ტრანსპორტის სექტორში - 76%-ია. გაიზარდა ინვესტიციები ჯანდაცვისა და სოციალური დახმარების სექტორში (ზრდა 3%). ზემოაღნიშნული ორი სექტორი - ტურიზმი და ტრანსპორტი საქართველოსთვის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი საინვესტიციო პოტენციალის მქონე დარგებია, თუმცა პანდემიის ნეგატიურმა ეფექტმა ეს სექტორები ყველაზე მეტად დააზარალა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების სტატისტიკის მიხედვით, საქართველოს რეგიონებშიც განსხვავებული

[2]საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 2021.

ტენდენციებია : 2021 წლის პირველ კვარტალში ყველაზე ნაკლები ინვესტიცია ქვემო ქართლის შემდეგ, შიდა ქართლის, გურიის, იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის რეგიონში განხორციელდა. საქართველოს მასშტაბით ინვესტიციების ყველაზე მაღალი მაჩვენებელია ქალაქ თბილისში (106 ათასი აშშ დოლარი), პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით მეორე ადგილზეა სამცხე ჯავახეთი და შემდეგ აჭარა - საინვესტიციო ბუმი აჭარაში 2017 წელს იყო, როცა რეგიონში 210 მილიონ აშშ დოლარამდე ინვესტიცია შემოვიდა, რაც დაახლოებით 2,5-ჯერ აღემატება 2020 წლის მაჩვენებელს. ცხადია, ცალკე რომელიმე რეგიონისთვის საკმაოდ რთულია საინვესტიციო კლიმატის შეცვლა, თუმცა ყველა რეგიონში ინვესტიციების შემოსვლის დაღმავალი მიმართულება აღსანიშნავი და ყურადსაღებია სახელმწიფოსთვის.

2021-2024 წლისთვის საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა სამთავრობო პროგრამა [3], ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის, რომლის ამოცანები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- 2021 – 2025 წლებისთვის შემუშავდება „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია“, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების შემდგომი ხელშეწყობისა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის დანერგვის გაგრძელების მიზნით, რომელიც დაეფუძნება ევროპის „მცირე ბიზნესის აქტის“ უმთავრეს პრინციპს.
- მნიშვნელოვანი იქნება ფინანსებზე წვდომის ინსტრუმენტების განვითარება, ბიზნესის მხარდაჭერის მხრივ, როგორც არსებული ვალდებულებების დაფარვისა და ლიკვიდობის პრობლემების დაძლევის, ისე ბიზნესის შემდგომი განვითარების ხელშეწყობისთვის.
- პრიორიტეტული იქნება მეწარმეობის ტექნიკური მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.
- იგეგმება საკრედიტო-საგარანტიო სქემის შექმნა, რომელიც მნიშვნელოვნად გაუმარტივებს ფინანსებზე წვდომას მცირე და საშუალო ბიზნესს და ხელს შეუწყობს ეკონომიკის დამატებით დაკრედიტებას.
- სააგენტო – „აწარმოე საქართველოში“ გააგრძელებს ადგილობრივი წარმოებისა და სასტუმრო ინდუსტრიის განვითარების, ექსპორტის ხელშეწყობისა და ინვესტიციების მოზიდვის მიმართულებებით მუშაობას. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით,
- გაგრძელდება და გაფართოვდება სახელმწიფო ფინანსური მხარდაჭერის პროგრამები.
- აქტიურად გაგრძელდება საექსპორტო პოტენციალის მქონე კომპანიების მხარდაჭერა ექსპორტის განვითარების მიმართულებით სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენების გზით.
- გაძლიერდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობის პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც დამტკიცდა საინვესტიციო გრანტების სახელმწიფო პროგრამა.
- განვითარდება ონლაინ პლატფორმა tradewithgeorgia.com, რაც ექსპორტიორი კომპანიებისთვის სხვადასხვა სერვისის „ერთი ფანჯრის პრინციპით“ მიწოდებას ითვალისწინებს.

[3] საქართველოს სამთავრობო პროგრამა 2021-2024 წლისთვის ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის (დეკემბერი 2020 წელი) 2.4 პუნქტი სამეწარმეო და საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობა.

მუდმივად ცვალებადი ეკონომიკური პროცესების, გაზრდილი კონკურენციის გამო სწრაფად იცვლება ბიზნესის მოთხოვნები. აქედან გამომდინარე სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებაზე მუდმივი ზრუნვა აუცილებელია, რადგან იგი მნიშვნელოვნად მოქმედებს მწარმოებლურობაზე და პირდაპირ გავლენას ახდენს კერძო სექტორში რესურსების ეფექტიან განაწილებაზე. პანდემიისგან მიღებული ეკონომიკური სტრესიდან გამოსვლა მოითხოვს არა მარტო მთავრობის მნიშვნელოვნად ჩარევას კრიზისთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური ზიანის არმოსაფხვრელად , არამედ მკაცრ ვალდებულებას ეკონომიკური გარდაქმნებისა ქვეყანაში.

მიუხედავად რთული გამოწვევებისა, რომლებმაც მძიმე გავლენა იქონიეს მსოფლიოს ეკონომიკაზე, საერთაშორისო სავალუტო ფონდის პროგნოზის მიხედვით, 2021 წელს მსოფლიო ეკონომიკა 5,2%-ით გაიზრდება, რაც 2019 წლის მაჩვენებელზე 0,6%-ით მეტია.[4] ეკონომიკის აღდგენის პროცესი ეკონომიკურად განვითარებულ ქვეყვებში სწრაფად განვითარდა. ეკონომიკური აქტივობების წახალისება მოხერხდა სახელმწიფო ინვესტიციების მეშვეობით და სახელმწიფო დახმარებების პაკეტების ამოქმედებით (ჩინეთი, აშშ). რაც შეეხება ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური აქტივობების აღდგენის პროცესი რთულად წარიმართა (ინდოეთი, ფილიპინები), ხოლო იმ ქვეყნებში სადაც ტურიზმის სექტორს ქვეყნის ეკონომიკაში დიდი წვლილი შეაქვს (საქართველო) პროგნოზი ნაკლებად ოპტიმისტურია. მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციამ 2021 წლისთვის მსოფლიო ტურიზმის 70 %-იან შემცირება ივარაუდა.[5] მსოფლიო მასშტაბით ინვესტიციების შემცირებამ, საერთაშორისო მგზავრობის შემცირებამ, საერთაშორისო ვაჭრობის შეფერხებამ, გზავნილების შემცირებამ, შესაძლოა სავალალო შედეგები გამოიწვიოს ისეთი ქვეყნისთვის როგორიც საქართველოა, ამიტომ სახელმწიფოს მიერ გატარებული რეფორმების როლი ცენტრალიზებული ეკონომიკის მქონე ქვეყანაში ძალიან დიდია.

მიუხედავად ქვეყანაში არსებული საინვესტიციო პოლიტიკის დადებითი შედეგებისა, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კლება პანდემიამდე დაიწყო. სასამართლო სისტემისადმი უნდობლობა, ხელისუფლების არათანმიმდევრული ეკონომიკური გადაწყვეტილებები, მსხვილი საინვესტიციო პროექტების ჩავარდნა, არასტაბილური სავიზო რეჟიმი, უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მიწის მიყიდვაზე დაწესებული შეზღუდვები და რეგულაციები - ეს ის პრობლემებია, რომლებმაც ბოლო წლებში ინვესტიციების მაჩვენებლის მკვეთრი ვარდნა გამოიწვია. სხვა მხრივ აღსანიშნავია, რომ ინვესტორთა მფლობელობაში არსებული რამდენიმე მსხვილი საწარმო საქართველოს რეზიდენტის საკუთრებაში გადავიდა და არარეზიდენტი პირდაპირი ინვესტორების მიმართ შემცირდა ვალდებულებები (სასესხო დავალიანების დაფარვა). დასრულდა მაგისტრალური გაზსადენის შაჰ-დენიზის მშენებლობის პროექტი და ამის გამო აზერბაიჯანიდან მიღებული ინვესტიციების ოდენობა თითქმის განახევრდა.

[4] საერთაშორისო სავალუტო ფონდი - "World Economic Outlook International Monetary Fund a Long and Difficult Ascent", 2020 ოქტომბერი. იხ: https://www.imf.org/en/Publications/WEO/ Issues/2020/09/30/world-economic-outlook-october-2020

[5] გაეროს მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაცია- ''World Tourism Barometer'' 2020 სექტემბერი.იხ: UNWTO World Tourism Barometer and Statistical Annex, August/September 2020 (e-unwto.org)

ეკონომიკის უცხოელი ექსპერტები პანდემიის პერიოდში მსოფლიოში ვარაუდობდნენ სამ სცენარს:[6]

ოპტიმისტური სცენარის მიხედვით შემოსავალები დაიწყებოდა 2020 წლის მეორე ნახევარში და დაუბრუნდებოდა კრიზისამდე არსებულ დონეს 2021 წლის ბოლოსთვის, რადგან ეკონომიკა გამოჯანმრთელდებოდა. პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა 2020 წელს 30% -დან 40% -მდე შემცირდებოდა და 2021 წელს ანალოგიური მოცულობით გაიზრდებოდა როგორც უკვე აღვნიშნეთ, მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები 2015 წლიდან არის დაღმავალი ტენდენციით, ხოლო პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები 2018 და 2019 წლებში იყო უფრო დაბალი ვიდრე 2010 წლის შემდეგ.

საშუალო სცენარის მიხედვით, ეკონომიკის აღდგენა არათანაბარი იქნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ სექტორში შემოსავალები აღდგებოდა, ზოგი დარჩებოდა კრიზისამდე არსებული დონის ქვემოთ; საერთო ჯამში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები დაეცემოდა 35% -დან 45% -მდე 2020 წელს 2021 წელს გარკვეულწილად გამოჯანმრთელებამდე.

პესიმისტური სცენარის მიხედვით, შემოსავლები რჩებოდა დეპრესიაში უმეტეს სექტორში. კაპიტალის ნაკადები მნიშვნელოვნად შემცირდებოდა, საინვესტიციო პროექტები გაუქმდებოდა, რადგან მათ აღარ ექნებოდათ სტრატეგიული მნიშვნელობა. საერთო ჯამში, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ნაკადები შემცირდებოდა 40% -ზე მეტით 2020 წელს და იქნებოდა თანაბარი 2021 წლის ბოლომდე, როდესაც ვაქცინის შემოღებას შეიძლება მოჰყოლოდა გამოჯანმრთელების პროცესის დაწყება.

დღევანდელი მდგომარეობა გვიჩვენებს, რომ საქართველოში განვითარდა პესიმისტური სცენარი. FDI– ს შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკის მხარდაჭერაში ასეთი კრიზისების დროს. FDI– ის ნაკადები სტაბილურად შემცირდა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში და ისინი შეიძლება დარჩნენ კრიზისამდე არსებულ დონეზე 2021 წლის განმავლობაში, თუ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზომები და ეკონომიკური მხარდაჭერის პოლიტიკა არ იქნება ეფექტური მთავრობების მხრიდან, ამას ემატება საინვესტიციო პარტნიორების ფინანსური მხარდაჭერის მნიშვნელობა და ადგილობრივი ფირმების აქტიური ჩართულობა ეკონომიკური კრიზისის დაძლევის საქმეში.

შექმნილ მძიმე ეკონომიკურ ვითარებაში სახელმწიფოს სულ რამდენიმე ბერკეტი აქვს ეკონომიკის განვითარების მხარდასაჭერად. მნიშვნელოვანია ადგილობრივ დონეზე სოციალური საჭიროებების სწრაფი შეფასება, აუცილებელია ადგილობრივი ხელისუფლება აცნობიერებდეს ადგილობრივ მეწარმეთა ხელშეწყობის აუცილებლობას და, შესაძლებლობის ფარგლებში, ხდებოდეს მათი ლოჯისტიკური მხარდაჭერა, ,,მკაცრი ლოქდაუნის''თავიდან აცილება და ამის სანაცვლოდ მოტივირების მექანიზმების შექმნა დისტანციური საქმიანობისთვის, საერთაშორისო პრაქტიკის გაზიარება ჯანდაცვის სისტემის მდგრადობის უზრუნველყოფისთვის, ინფრასტრუქტურული პროექტების (საერთაშორისო გზატკეცილები, ნავსადგურები) დაჩქარება, ტექნოლოგიების, შიდა და საერთაშორისო ლოჯისტიკის, განათლების ხელშეწყობა, საქართველოში მსხვილი საერთაშორისო სავაჭრო პლატფორმების - ჰაბების შექმნის ინიცირება და სხვა. ამ ყველაფრის განხორციელების ერთ-ერთი ბერკეტია

[6] OECD Policy Responses to Coronavirus (COVID-19)- Foreign direct investment flows in the time of COVID-19 4 May 2020

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება, ინვესტორებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა სახელმწიფოს ცენტრალური ხელისუფლების პრეროგატივაა რა თქმა უნდა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარებით.

2019 წელს კონრად ადენაუერის ფონდმა (KAS) და ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა (EPRC) დააფუძნეს ეკონომიკური დისკუსიის პლატფორმა, KAS EPRC ეკონომიკური არენა. სადაც საქართველოს საინვესტიციო კლიმატის გაუმჯებესებისთვის გამოიკვეთა შემდეგი სახის რეკომენდაციები: პირველ რიგში საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა - მათ შორის უკვე მომზადებული კანონის "საინვესტიციო ფონდების შესახებ" დამტკიცება და გადახდისუუნარობის კანონპროექტის შემუშავება, რაც გარდა ინვესტიციების მოზიდვისა, გაზრდის მცირე და საშუალო ბიზნესის წვდომას საინვესტიციო ფონდებზე და ფინანსურ რესურსებზე; ახალი ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა, რაც მნიშვნელოვანია მომსახურების სექტორისთვის, მიუკერძოებელი და სამართლიანი მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც კანონის უზენაესობის პრინციპზე იქნება დაფუძნებული. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ გარემოებას ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად ასახელებენ სქართველოს სტრატეგიული პარტნიორებიც; საქართველოს განსაკუთრებული საინვესტიციო პოტენციალის, გეოპოლიტიკური მდებარეობის გათვალისწინებით, უმნიშვნელოვანესია გამართული სატრანსპორტო და ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურის არსებობა.[7] აქვე გამოკვეთილია საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების ხელისშემშლელი ფაქტორები: პოლიტიკური არასტაბილურობა, დაუმთავრებელი და შეწყვეტილი საინვესტიციო პროექტები, კვალიფიციული მუშა-ხელის დეფიციტი[8]. 2019 წლის მსოფლიო კონკურენტუნარიანობის ინდექსის რეიტინგით, საქართველო საშუალო განათლების (სკოლის დამთავრება) დონის მიხედვით მსოფლიოს 141 ქვეყანას შორის მე-13 პოზიციაზეა, თუმცა კვალიფიციური სამუშაო ძალის, პროფესიული სწავლების, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებისა და ცოდნის, სამუშაო ძალაზე ხელმისაწვდომობის კუთხით 125-ე პოზიციას იკავებს. განსხვავება ამ ორ მონაცემს შორის საქართველოს ზოგადი განათლების სისტემის ნაკლოვანებებზე მიუთითებს. მიუხედავად ზემოთ აღნიშნული ფაქტორებისა, საერთაშორისო დონორები და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორები ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესების კუთხით, განსაკუთრებით კორონავირუსის ეპოქაში, ასახელებენ ორ ძირითად ფაქტორს: ინვესტორების დაცვა კანონმდებლობით და გამართული სასამართლო სისტემა. ყველა ინვესტიცია ატარებს გარკვეულ რისკს. ინდივიდები ფინანსურ სამყაროში, პროფესიონალი ფულის მენეჯერები, ფინანსური ინსტიტუტები ხვდებიან , რომ უნდა გაუმკლავდნენ საინვესტიციო რისკს. ინვესტორებს შეუძლიათ მიიღონ ან სცადონ ინვესტიციის რისკის შემცირება. თუ ისინი აირჩევენ უმოქმედობას და ჩაერთვებიან რისკის არაადეკვატურ მართვაში, ისინი სავარაუდოდ განიცდიან მძიმე შედეგებს. თუ ინვესტორები მიიღებენ შესაბამის ზომებს მათი საინვესტიციო მიზნებისა და რისკის ტოლერანტობის გათვალისწინებით, მათ შეუძლიათ შეამცირონ პოტენციალი ინვესტიციის ზარალისთვის. ამრიგად, რისკის მენეჯმენტი უნდა იყოს პროაქტიული და არა რეაქტიული.[9]

---

[7] კონრად ადენაუერის ფონდი (KAS), ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) – Covid -19 ის ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები. 2020 წ.

[8] მსოფლიო ბანკი-Labor force with advanced education (% of total working-age population with advanced education) - Georgia | Data (worldbank.org)

[9] Investment Risk Management - EDITED BY H. KENT BAKER And GREG FILBECK-OXFORD-2015

COVID-19-ის პანდემიის ნეგატიური შედეგების შემსუბუქებისა და ეკონომიკის პოსტპანდემიური სწრაფი აღდგენის თვალსაზრისით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბიზნესის, მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერას, როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე უცხოური ინვესტიციების საშუალებით. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა შეძლოს უცხოური საინვესტიციო რესურსების ქვეყანაში მოზიდვა და ამისათვის უპირველესად ხელსაყრელი გარემო შექმნას. საქართველოს საინვესტიციო კლიმატზე მეტად ნეგატიურად აისახება კონფლიქტური რეგიონების არსებობა. ყოველი ინვესტორისთვის, ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების წინაპირობა მისი საკუთრების უფლების დაცვა, სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, ხელსაყრელი საგადასახადო რეგულაციები, იაფი და კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები, კორუფციის დაბალი დონე, როგორც უცხოელი , ასევე ადგილობრივი ინვესტორისთვის. სამთავრობო პროგრამაში 2021-2024 წლებისთვის საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობის მიმართულებით დაგეგმილი და გათვალისწინებულია შემდეგი საკითხები: ქვეყანაში გაძლიერდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვისა და ხელშეწყობის პლატფორმა, რომლის ფარგლებშიც დამტკიცდა საინვესტიციო გრანტების სახელმწიფო პროგრამა. აღნიშნული პროგრამა გულისხმობს საინვესტიციო ვალდებულების შესრულების შემდეგ ინვესტორი კომპანიებისთვის კვალიფიციური ხარჯების ანაზღაურებას. მექანიზმი მაღალტექნოლოგიურ წარმოებას, სერვისების ექსპორტს, ლოგისტიკისა და თვითმფრინავების მომსახურების სფეროებს დაფარავს. გარდა ამისა, შეიცვალა და ახლებურად გაგრძელდება ინვესტორებთან მუშაობისა და კომუნიკაციის პროცესი. სააგენტომ დაიწყო მუშაობა ე. წ. ლოკაციების სკაუტებთან. განხორციელდა წამყვანი ლოკაციის კონსულტანტების იდენტიფიცირება და, პანდემიის მიუხედავად, უკვე დაწყებულია მათი საქართველოში ჩამოყვანა. განხორციელდა და მომავალშიც გაგრძელდება პოტენციური ინვესტორების პროფილირება, რომლებთანაც მიმდინარეობს პირდაპირი კომუნიკაცია მაღალი დონის პოლიტიკური ჩართულობით. ამ პროგრამის შესრულება, რეალურად შეუწყობს ხელს საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესებას საქართველოში. დღეისათვის განუსაზღვრელია კრიზისის ვადები და ასევე ის, თუ როგორ შეძლებს მსოფლიო მასთან გამკლავებას. საქართველოს ტიპის ქვეყნები მნიშვნელოვნად იქნებიან დამოკიდებული იმ საერთაშორისო დახმარების მასშტაბზე, რომლის მობილიზებასაც ისინი შეძლებენ სხვადასხვა მიმართულებით, რისთვისაც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეროვნული საინვესტიციო პოლიტიკის განსაზღვრა და საინვესტიციო გარემოს სრულყოფა ქვეყანაში.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა

Covid-19 -is ep'oka da sainvest'itsio p'ersp'ekt'ivebi- k'onrad adenaueris pondi -KAS da EPRC ek'onomik'uri p'olit'ik'is k'vlevis tsent'ri -2021ts'. (Covid-19 -ის ეპოქა და საინვესტიციო პერსპექტივები- კონრად ადენაუერის ფონდი -KAS და EPRC ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი -2021წ.).

ek'onomik'uri shedegebi msopliosa da sakartvelostvis- EPRC ek'onomik'uri p'olit'ik'is k'vlevis tsent'ri-2021ts'. (ეკონომიკური შედეგები მსოფლიოსა და საქართველოსთვის- EPRC ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი-2021 წ.).

samtavrobo p'rograma 2021-2024 ,,evrop'uli sakhelmts'ipos msheneblobistvis''. 2020 dek'emberi. (სამთავრობო პროგრამა 2021-2024 ,,ევროპული სახელმწიფოს მშენებლობისთვის''. 2020 დეკემბერი.).

OECD Policy Responses to Coronavirus (COVID-19) **Foreign direct investment flows in the time of COVID-19 - 4 May 2020 – https://www.oecd.org/coronavirus/policy-responses/foreign-direct-investment-flows-in-the-time-of-covid-19-a2fa20c4/#figure-d1e306**

Investment Risk Management-EDITED BY H. KENT BAKER And GREG FILBECK-OXFORD-2015

https://www.worldbank.org/en/home - მსოფლიო ბანკი

https://www.geostat.ge/ka - საქსტატი